15/10/2025

MES 7 25 0001348144

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის**
**საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი,**
**თარიღი: 01/10/2025**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00**
**დასრულების დრო: 15:11**
**საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი**
**საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომა გაიმართა 2025 წლის 01 ოქტომბერს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობის პროცესში მონაწილეობა მიეღოთ დისტანციურად.

სხდომას ესწრებოდნენ:

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:***

1. **თამარ იოსელიანი**-შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**

2. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
4. **მამუკა ხუსკივაძე**- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე**- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ - პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე**- შპს საქართველოს ეროვნულუნი ვერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
8. **ნათია მიმინოშვილი** - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
9. **რიმა ბერიაშვილი**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
10. **კონსტანტინე სირბილაძე**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **ივანე ჯაგოდნიშვილი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **ემილ ავდალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" პროფესორი;
13. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო)*** მო წვეული ***წევრები:***

1. **კახაბერ ჩიხრაძე** - შპს "ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის" სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;
2. **ეკა ბოჭორიშვილი** სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
3. **ნინო გაგუა** - შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სტუდენტი;
4. **კახაბერ ვანიშვილი** - შპს "მედ-დიაგნოსტიკის" სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
5. **დავით თოთაძე** - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
6. **ზვიად კირტავა** - შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;
7. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის  დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

9. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
10. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
11. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
12. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ჯილდა ჭეიშვილი** - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;

***სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:***

1. თათია მამრიკიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3. ქეთევან პავლიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:***

1. გიორგი ბარკალაია - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი;
2. დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს წევრი;
3. თინათინ გაბრიჩიძე - სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნციონალიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე;
4. თამარ რაზმაძე - ხარისხის კულტურის კომიტეტის მენეჯერი.

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):***

***1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა: ბრძანების ნომერი და თარიღი: 755603, 26/06/2025***

- ***მილან პოლი*** *(თავმჯდომარე)*
- ***მოჰამედ ჰუსამალდინ აჰმედ ჰამდი ალსაიედი*** *(თანათავმჯდომარე)*
- *ირინე ფხაკაძე - (წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი;*
- *ეკა ლეკაშვილი - (წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი.*
- *ლევან ჯაყელი - (წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი;*
- *ნინო ჯოლია - (წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი;*

- *ია ნაცვლიშვილი - (წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი;*
- *დავით ტეფნაძე - (წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი.*

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**
**1. ა (ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**
**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა შუამდგომლობა გააცნო საბჭოს წევრებს, რომლის მიხედვითაც "სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს №1118784 გადაწყვეტილებით, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული იყო 400 - ით, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე 2800-ით, ხოლო, საკითხის განხილვის შედეგად, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად უნდა განისაზღვროს 550 - ით, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე 2650-ით.
**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. **სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118784 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.**
2. ***ა(ა)იპ* - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

**სხდომის დაწყების დრო: 14:00**

**1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბჭოს** 2024 წლის 13 სექტემბრის №1118784 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება.

**თვითაცილება:**

- **კი**

**ზურაბ ორჯონიკიძე (თავმჯდომარის მოადგილე) და რიმა ბერიაშვილი (საბჭოს წევრი). საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

ცენტრის თანამშრომელმა, საბჭოს წევრებს განუმარტა შუამდგომლობის შინაარსი, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საფუძველს წარმოადგენდა 2025 წლის 30 სექტემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, დაკმაყოფილდა მოთხოვნა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განისაზღვრა 550-ით (ნაცვლად 400-სა). დაწესებულების მიერ თვითშეფასებაში ასახული მოთხოვნის შესაბამისად, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას მოაკლდებოდა 150 და აღნიშნული რაოდენობა შესაძლებელია დაემატოს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, შესაბამისად დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს 2650-ით (2800-ის ნაცვლად). აღნიშნულს არ მოუხდენია ცვლილება სტუდენტთა ადგილების სრულ ზღვრულ რაოდენობაზე, დაწესებულების სურვილია მხოლოდ 2 პროგრამაზე დაბალანსებული სტუდენტთა რაოდენობის ცვლილებების განხორციელება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
**სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის** №1118784 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის დაკმაყოფილების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძ ი რ ი თ ა დ ი | ს ა ბ ჭ ო | - | მ ო მ ხ რ ე : | 1 1 |
| წინააღმდეგი: 0 | | | | |
| მ ო წ ვ ე უ ლ ი | ს ა ბ ჭ ო | - | მ ო მ ხ რ ე : | 1 3 |
| წინააღმდეგი: 0 | | | | |

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება და „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118784 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ: 211328703) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 11700-ით, მათ შორის: დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 3300-ით, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე 550-ით, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე 2650-ით, დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვან პროგრამაზე 150-თ“.
**გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი:** 2025 წლის 01 ოქტომბერი.

2. *ა(ა)იპ* - **ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება.
**თვითაცილება:**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**აცილება:**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მილან პოლმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი 7 სკოლის, 20 საგანამანათლებლო პროგრამის 3 დონეზე სწავლებას ახორციელებდა და მას 2600-ზე მეტი აქტიური სტუდენტი ჰყავდა ვიზიტის პერიოდში. სტუდენტთა უმრავლესობა წარმოადგენს სამედიცინო მიმართულებას. დაწესებულება საერთაშორისო თვალსაზრისითაც საკმაოდ აქტიურია, რადგან 2400 მოქმედი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს უნივერსიტეტში. ასევე, აღინიშნა, რომ ყველა ასპექტი შეფასდა ბოლო 5-6 წლის ჭრილში, 2019 წლის ავტორიზაციიდან მოყოლებული და პანელი შეთანხმდა, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი პროგრესი განახორციელა ყველა მიმართულებით. 7 სტანდარტიდან 5 შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაში, ხოლო მესამე და მეოთხე შეფასდა - მეტწილ შესაბამისობაში. ოპერაციის, ხარისხის უზრუნველყოფის, საინჟინრო/სამედიცინო, ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამების მიმართულებით იყო გაუმჯობესების საჭიროებები გამოვლენილი, მათ შორის დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებითაც. რეკომენდაციების თვალსაზრისით საჭიროა პერიოდული გადახედვა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და ასევე, ფინანსური აუდიტის საჯარო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში გამოვლინდა კარგი პრაქტიკის მაგალითები, მათ შორის საზოგადოების მეტად ჩართულობისკენ მიმართული ღონისძიებები. შეჯამების სახით, აღინიშნა, რომ ჯგუფის დასკვნა და შეფასება არის პოზიტიური, რადგან მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ბოლო 5-6 წლის განმავლობაში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ბარკალაიამ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესი იყო საკმაოდ დადებითი და ჯანსაღი, თუმცა ამის გათვალისწინებითაც დაწესებულებას ჰქონდა რამდენიმე კომენტარი რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მაგალითად, ინსტიტუცია მიიჩნევს, რომ მეცხრე რეკომენდაცია რეკომენდაციების კატეგორიაში არ უნდა ყოფილიყო განხილული. აქ რეკომენდებულია, კვლევითი უნარებისა და ეთიკის შესახებ რეგულარული ტრენინგების შეთავაზება. ინსტიტუციას არაფერი აქვს საწინააღმდეგო რეგულარულ ტრენინგებთან, თუმცა ვიზიტის დროსაც და დასკვნით

პროექტშიც ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტი საკმაოდ დიდ დროს უთმობს ამას. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს, რომ განათლების სკოლის ეგიდით პერსონალი იყოს დაინტეგრირებული არა მხოლოდ იმ კომპონენტებში, რომელსაც სტუდენტებს სთავაზობენ, არამედ უშუალოდ პერსონალისთვის გაკეთებულ ღონისძიებებშიც. ასევე, მეორე და მესამე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ყველა პროგრამაზე, გარდა მედიცინისა, უცხოელ სტუდენტებს სავალდებულო საგნად დაწესებულებამ უნდა შეასწავლოს ქართული ენა, რაც ინსტიტუციის მოსაზრებით, არის გადაჭარბებული მოთხოვნა. ასევე, კვლევის მეთოდები მედიცინის პროგრამაში 2 საგნის სახით არის შეთავაზებული და არის 4-4 კრედიტიანი და შემდეგ ცალკე საგნად, უკვე სხვა სახელწოდებით, „ეთიკის ლიდერობის კურსში“ არის დაინტეგრირებული კვლევითი ნაშრომის წერის სწავლება და შემდგომ დაწერა, აქედან გამომდინარე ჯამური კრედიტები არის 10, თუმცა კვლევის მეთოდების ქვეშ არის 8.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ გაბრიჩიძემ ყურადღება გაამახვილა 3.3 სტანდარტში გაცემულ სამ რეკომენდაციაზე, რომელიც შინაარსობრივად შესაძლებელია განხილული იყოს როგორც რჩევა. 3.3 კომპონენტში წარმოდგენილი პირველი 2 რეკომენდაცია შეიძლება ითქვას, რომ შინაარსობრივად ერთნაირი იყო და ერთმანეთს ფარავდა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის კურიკულუმში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკისა და გეგმების დაინტეგრირებას. აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ დაწესებულება მარეგულირებელთან შეუსაბამობაში მოდის და არ არის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაინტეგრირებული კურიკულუმში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურიკულუმი შეუსაბამობაში არ მოდის მარეგულირებელთან, უბრალოდ, ეს მექანიზმები, რუკები, გეგმები წარმოადგენს პროგრამის დანართს, რომელიც არის ცალკე დოკუმენტი, თუმცა არის პროგრამის განუყოფელი ნაწილი. თვითონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები დანერგილია პროგრამებისთვის. დასკვნაში გვხვდება ჩანაწერიც, რომ შემუშავებულია მხოლოდ განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამისთვის, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ნიმუშის სახით იყო ჩადებული დოკუმენტში პროგრამის გეგმა და ეს არ გულისხმობს, რომ სხვა პროგრამებისთვის არ არსებობს მსგავსი მექანიზმები. 3.3 კომპონენტის მესამე რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსების სილაბუსებში და თვითონ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში მინიმალური კომპეტენციების ზღვრების ჩანაწერის დამატებას. თვითონ ექსპერტებმაც აღნიშნეს ის, რომ შესაბამისი რეგულაცია უნივერსიტეტში არსებობს მინიმალური კომპეტენციის ზღვრების განსაზღვრისა როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასებისთვის. ეს ეხება თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას და მასში იგულისხმება ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში თითოეულ ლექტორს აქვს შესაძლებლობა, რომ შეცვალოს ეს კომპეტენციის ზღვრები, თუმცა ზოგადი რეგულაცია ეხება ყველა პროგრამას და განთავსებულია ვებგვერდზე. ამავე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხაზი ინფორმირებულობის საკითხსაც გაესვა. ეს საკითხი უნივერსიტეტისთვის რეკომენდაციის სახით მისაღები იქნებოდა თუ სტუდენტებს არ ექნებოდათ ინფორმაცია და ინტერვიუზე არ დადასტურდებოდა ინფორმირებულობის საკითხი, თუმცა ეს ასე არ მომხდარა. დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ. შესაბამისად, არ დგას არც რეგულაციის გამოწვევა და სტუდენტები კანონის შესაბამისად არიან ინფორმირებულნი.

ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა, აღნიშნა, რომ ქართული ენის კომპონენტის შემოღებასთან დაკავშრებით ინიციატივა წამოვიდა თავად სტუდენტებისგან გასაუბრებისას. ამასთან, როდესაც სტუდენტი მარკეტინგს სწავლობს და გადის ბაზარზე ან 4 წელი უწევს ქართულ სოციუმში არსებობა, შესაბამისად, კომუნიკაცია აუცილებელია. გარკვეულ საწყის საფეხურებზე მაინც უნდა ფლობდეს ქართულ ენას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მედიცინის კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ეთანხმება, რადგან

დარგობრივ დოკუმენტში მითითებული არ არის მხოლოდ 10 კრედიტი, იქ მითითებულია მინიმალური 10 კრედიტი. რაც შეეხება დამატებით სილაბუსს, რომელიც დასკვნაშიც არის დაწერილი თავისი შედეგებით, ჯილდა ჭეიშვილის აზრით ვერ დაფარავს იმ დარგობრივ მოთხოვნებს, რაც არის გათვალისწინებული კვლევითი უნარების კუთხით. ასევე, მან კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მითითებული აქვს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც არის 92%. თუმცა იქვეა მითითებული, რომ გამოკითხვები ჩატარდა 2022-2023 წლებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 102 სტუდენტმა, ხოლო 23-24 წლებში - 34-მა. აქედან გამომდინარე, მას აინტერესებდა აღნიშნული კვლევისათვის რა მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული. რაც შეეხება მეორე კითხვას, დოკუმენტებში საუბარია 5000 სტუდენტზე და აქედან 2500 არის მედიცინისთვის, სადაც ამჟამად არის 1800 აქტიური მედიცინის სტუდენტი. ჯილდა ჭეიშვილს აინტერესებდა რამდენად ჰქონდა დაწესებულებას რესურსი უზრუნველყო 2500 სტუდენტი ადამიანური რესურსებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის შედარებით პატარა, 12 წლის, და აქედან გამომდინარე ჯამში დაწესებულებას ჰყავს 1000 კურსდამთავრებული. მაშასადამე კურსდამთავრებულების რაოდენობა დიდი არ არის და ის მიზნობრივი ჯგუფი, რომელსაც ეხებოდა შეიძლება არარელევანტური ყოფილიყო 2000 კურსდამთავრებული რომ ჰყოლოდა დაწესებულებას, თუმცა კურსდამთავრებულთა რაოდენობა იყო დაახლოებით 200 და გამოიკითხა 102. ამიტომ ამ შემთხვევაში უფრო რელევანტური ჩანს შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ყოველწლიურად ხდება. გამოკითხვაში მონაწილეობას იღებენ ერთი წლის ან 18 თვის კურსდამთავრებულნი, რომელთაც უკავშირდება სპეციალური სამსახური.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ბარკალაიამ რაოდენობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არის ის კონტინგენტი, რომელიც განისაზღვრა 4 წლის წინა, როდესაც კონტინგენტი გაზარდა უნივერსიტეტმა. თუმცა ამ დროის განმავლობაში უნივერსიტეტმა დაიმატა რამდენიმე ახალი ჰოსპიტალი ქსელში როგორც საუნივერსიტეტო, ისე პარტნიორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე კლინიკური როტაციები აღნიშნავს 15 მსხვილ მოდულს, რომელიც მთლიანად ინტეგრირებულია ნიუ ვიჟენ ჰოსპიტალში და ამ რესურსით ჰოსპიტალის, ფაქტობრივად, 50% არის ათვისებული. პრაქტიკულ ნაწილს 48 ლექტორი უძღვება, აქედან 38 არის უშუალოდ ნიუ ვიჟენ ჰოსპიტალის თანამშრომელი. ამასთან, 2500 სტუდენტზე გათვლილია 10 კლინიკა. 1578 მედიცინის სტუდენტს აქვს აქტიური სტატუსი, ხოლო 423-ს აქვს შეჩერებული სტატუსი.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხზე. მას აინტერესებდა კონკრეტულად სად და რა პოზიციაზე არიან დასაქმებულნი კურსდამთავრებულები.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ზვიად კირტავამ აღნიშნა, რომ ეს კვლევა ჩატარდა ინგლისში, რომელიც იყო გამოკითხვის სახით და არ არის ოფიციალური სტატისტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევაში, სადაც 32 კურსდამთავრებულმა მიიღო მონაწილეობა იმ წელს უნივერსიტეტს 137 კურსდამთავრებული ჰყავდა. რაც შეეხება კვლევებს, მედიცინაში ქართველი კურსდამთავრებული უნივერსიტეტს ჰყავს ძალიან ცოტა, ამიტომ გამოკითხულთა უმეტესობა არის უცხოეთში დასაქმებული.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ დაწესებულებას მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა დაწესებულების რექტორი და კანცლერი იყო თუ არა ერთიდაიგივე პიროვნება, გიორგი ბარკალაია. ასევე, აღნიშნულია, რომ აკადემიურ საბჭოში შეიძლება შევიდეს ყველა ის აფილირებული პერსონალი, ვისაც თავად აქვს საბჭოში საქმიანობის სურვილი. მონაცემებიდან გამომდინარე დაწესებულებას 200-მდე აფილირებული პერსონალი ჰყავს და მას აინტერესებდა, ყველას სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, რამდენად აფილირებული იქნება ასეთი საბჭო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გიორგი ბარკალაიამ აღნიშნა, რომ 4 წელზე მეტია უნივერსიტეტში არ არის გათვალისწინებული კანცლერის ინსტიტუტი, შესაბამისად ორივე

პოზიციაზე ვერ იქნება ერთი და იგივე პიროვნება. ხოლო რაც შეეხება მეორე კითხვას. პირველი ეტაპი, რა თქმა უნდა, არის სურვილის გამოხატვა, ხოლო თუ, პირობითად, 24 ადამიანს გადააჭარბებს შემდგომა ჩატარდება არჩევნები.
საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა თუ უცხოელი სტუდენტები სავალდებულო საგნად არ გაივლიან ქართულ ენას, ეს მათ სწავლის შედეგებზე გასვლაში ხელს შეუშლის თუ არა.
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ინტერვიუების პროცესში იყო ამაზე საუბარი. პრაქტიკების დროს სტუდენტი შეიძლება ისეთ გარემოში მოხვდეს, სადაც კომუნიკაცია მხოლოდ ქართულ ენაზე იყოს, ამიტომ მინიმალურ დონეზე შესწავლა მიზანშეწონილია ექსპერტთა მოსაზრებით.
საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ მეორე კითხვით დაწესებულებას მიმართა. მას აინტერესებდა უწევდათ თუ არა უცხოელ სტუდენტებს აღნიშნულ გარემოში პრაქტიკების გავლა.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გიორგი ბარკალაიამ აღნიშნა, რომ მედიცინასა და სტომატოლოგიაზე სავალდებულოა ქართული ენის შესწავლა. თუმცა სხვა შემთხვევაში დაწესებულებას უნდა ჰქონდეს არჩევნის საშუალება, რადგან ყველა შემთხვევაში საჭიროებას არ წარმოადგენს ქართული ენის ფლობა. ამასთან უნივერსიტეტს აქვს საშუალება ქართველი სტუდენტი გაუშვას ქართულ გარემოში პრაქტიკებზე და უცხოელი - უცხოურ.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, სტუდენტებს ხელი არ შეეშლებათ, რადგან ისინი პაციენტებთან მარტო არ იმყოფებიან და განმარტებებს იღებენ ხელმძღვანელებისგან.
საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა აღნიშნა, რომ სამედიცინოს სტუდენტი, რომელიც მაღალ კურსზეა თავად ესაუბრება პაციენტს, მაშასადამე, აუცილებელია ფლობდეს ქართულ ენას. სხვა შემთხვევაში კი უნდა იქნეს შეთავაზებული, თუმცა სხვადასხვა დონეების მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, გამოაცხადა სათათბირო შესვენება

**დაწყების დრო: 15:01**
**დასრულების დრო: 15:06**
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების (უნივერსიტეტი), ერთ წელში დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების სრული ზღვრული რაოდენობის 5 000-ით, მათ შორის მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 600-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრისშედეგი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძ ი რ ი თ ა დ ი<br>წინააღმდეგი: 0 | ს ა ბ ჭ ო | - | მ ო მ ხ რ ე : | 1 3 |
| მ ო წ ვ ე უ ლ ი<br>წინააღმდეგი: 0 | ს ა ბ ჭ ო | - | მ ო მ ხ რ ე : | 1 3 |

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, $32^7$ მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $56^3$ მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (ს/კ: 404987332) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების სრული ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 5 000-ით "მედიცინის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1 600-ით. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი, 2026 წლის 01 ოქტომბრამდე.
**გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი:** 2025 წლის 01 ოქტომბერი.

**დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განხორციელების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (ხარისხის კულტურის კომიტეტი) ჰყავდეს ხელმძღვანელი/უფროსი;
2. რეკომენდებულია, ინჟინერიის მენეჯმენტის პროგრამა შეესაბამებოდეს მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელს და სპეციალობის საგნებს დაემატოს მარკეტინგი, პროექტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს გარემო, რისკები, მიწოდების ჯაჭვი/ლოგისტიკა და ორგანიზაციული მართვა;
3. რეკომენდებულია, მედიცინის პროგრამის სასწავლო კურსებში კვლევის მეთოდოლოგია I და კვლევის მეთოდოლოგია II (მათ შორის ბიოსტატისტიკა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა), კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და შესაბამისად გაიზარდოს განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;
4. რეკომენდებულია, გაიზარდოს საბოლოო გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, განსაკუთრებით კლინიკურ საგნებში, რათა კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ კლინიკური პრაქტიკისა და პაციენტის უსაფრთხოებისთვის საჭირო სტანდარტები;
5. რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კლინიკური უნარების შეფასებას OSCE გამოცდის საშუალებით, ასევე, საგამოცდო სადგურებისთვის უნდა განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და გაუმჯობესდეს დროის მართვაც, რადგან ზოგიერთ სილაბუსში OSCE გამოცდისთვის 30 წუთია განსაზღვრული;
6. რეკომენდებულია, ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამაში გაიზარდოს ფინანსების და დაზღვევის, პროექტების მართვის და ჯანდაცვის ახალი ტექნოლოგიების შინაარსი;
7. რეკომენდებულია, პროგრამების სასწავლო გეგმებში აისახოს პროგრამის წინაპირობები;
8. რეკომენდებულია, კვლევითი უნარებისა და ეთიკის შესახებ რეგულარული ტრენინგების შეთავაზება;
9. რეკომენდებულია, ყველა პროგრამის სასწავლო გეგმას თან დაერთოს სწავლების შედეგების მიღწევის დონის რუკა მისი კომპონენტების მიხედვით;
10. რეკომენდებულია, თითოეულ პროგრამას თან დაერთოს პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულების საფუძველზე;
11. რეკომენდებულია, ბიზნესის (ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის გარდა), მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლების პროგრამებზე დეტალურად განიმარტოს შეფასების ქულები;
12. რეკომენდებულია, გადაიხედოს და გადამუშავდეს სასწავლო კურსების სილაბუსები და პროგრამის აღწერასა და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განისაზღვროს საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და სიცხადე;
13. .რეკომენდებულია, გაგრძელდეს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტების დახვეწა (მაგალითად, კმაყოფილების კვლევებისა და დატვირთვის მონიტორინგის მეშვეობით). მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დატვირთვის განაწილება კარგად არის

სტრუქტურირებული, აღნიშნულის საშუალებით, უფრო უკეთ იქნება შესაძლებელი პოტენციური დისბალანსის წინასწარ გამოვლენა და რესურსების ოპტიმიზება აკადემიურ ერთეულებში;

14. რეკომენდებულია, პერიოდულად განხორციელდეს კვლევითი ერთეულების ზეგავლენის შეფასება;
15. რეკომენდებულია, დაზუსტდეს ადმინისტრაციის დებულების მე - 6 თავის, 41-ე მუხლი იმისათვის, რომ უფრო დეტალურად დარეგულირდეს ბიუჯეტის შედგენის, კონტროლის/მონიტორინგის და გამჭვირვალობის საკითხები;
16. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ფინანსური აუდიტის შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობა.
17. რეკომენდირებულია, NVU-მ განიხილოს თავისი პერსონალის მართვის ჩარჩოს კიდევ უფრო მეტად დაახლოება დარგობრივ მახასიათებლებთან, ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, სპეციფიური მოთხოვნების ჩართვით, განსაკუთრებით სამედიცინო სფეროში. ეს შეიძლება მოიცავდეს მედიცინის მიმართულებით აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების შეთავაზებას სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ;

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვი შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 15:11 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ